თამარ ორჯონიკიძე •

კავკასიის დაცვა 1942 წელს საქართველოს და მსოფლიო ისტორიის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სასკოლო სახელმძღვანელოებში

აბსტრაქტი

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას (1939-1945) საბჭოთა კავშირმა საქართველოს ბუნებრივი და ადამიანური რესურსები მაქსიმალურად გამოიყენა. საქართველოდან წითელ არმიაში გაწვეულები იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მათი ბრძოლა მიმართული იყო მსოფლიოში დემოკრატიის და თავისუფლების დასაცავად, თავად მოკლებულნი იყვნენ ერთსაც და მეორესაც. ამ ბრძოლაში საქართველომ უდიდესი მსხვერპლი გაიღო და ამ მსხვერპლის დიდი ნაწილი გამოწვეული იყო საბჭოთა სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების, ადამიანის სიცოცხლისადმი უსულგულო დამოკიდებულებით.

კვლევის მიზანია, შევისწავლოთ, თუ როგორაა წარმოდგენილი საქართველოს მონაწილეობა კონკრეტულად კავკასიის დაცვისას მეორე მსოფლიო ომში საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სასკოლო სახელმძღვანელოებში. კვლევა ეყრდნობა საბჭოთა პერიოდში გამოსულ 2 და პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებულ 9 სახელმძღვანელოს შინაარსობრივ ანალიზს. კვლევის დროს გათვალისწინებულია: ა) წარმოდგენილი მასალის მოცულობა; ბ) შეფასებითი მხარე და ძირითადი დებულებები; გ) წარმოდგენილი ფოტო თუ დოკუმენტური მასალა.

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სახელმძღვანელოების შედარებისას შეიძლება გამოვკვეთოთ რამდენიმე ფაქტორი რაც განასხვავებს ან აერთიანებს ხსენებულ ნაშრომებს: ა/ განსხვავებული მონაცემები ომში გაწვეულ (600 ათასი, 700 ათასი...) და გარდაცვლილ ადამიანებზე (200 ათასი, 300 ათასი...); ბ/ შეფასება - იყო თუ არა საქართველოსათვის ომი „სამამულო"; გ/ შეფასება - კავკასიისთვის ბრძოლაში გამარჯვების მნიშვნელობა; დ/ წვლილი გამარჯვებაში (პარტია, მთავრობა, პარტიული მოღვაწეები, სამხედროები...).

საკვანძო სიტყვები: საქართველო; საბჭოთა კავშირი; მეორე მსოფლიო ომი; ბრძოლა კავკასიისთვის.

საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოები

საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოებში 1942 წელს გერმანელთა კავკასიისაკენ შემოტევაზე საუბრისას განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებულია შემოჭრის მიზეზებზე, გერმანელთა „იმედგაცრუებაზე" იმასთან დაკავშირებით, რომ „კავკასიის ხალხთა ამხედრება რუსი ხალხისა და ერთმანეთის წინააღმდეგ იმსხვრეოდა ხალხთა მეგობრობის გრანიტისებურ კედლებზე" და 1942 წლის აგვისტოში თბილისში გამართულ ამიერკავკასიის ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ მიტინგზე, სადაც ახალგაზრდებმა „ფიცი დადეს სამშობლოს წინაშე, რომ საერთო ძალ-ღონით დაიცავდნენ მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას" (საქართველოს ისტორია, 1961. გვ. 392). ამავე სახელმძღანელოში მოსწავლეებს იმ ღონისძიებებს აღუწერენ დეტალურად, რომელიც საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ გაატარა „ამ დიდ ეროვნულ ბრძოლაში"; ხაზგასმულია ასევე კონსტანტინე ლესელიძისა და ვასილ მჟავანაძის წვლილი გერმანელებთან ბრძოლაში.

სახელმძღვანელოს ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ერთიანობაზე, რითიც საქართველოს მოსახლეობა ებრძოლა ნაცისტებს კავკასიისათვის ბრძოლისას - „საქართველოს ყველა მშრომელი, ... კომუნისტი და უპარტიო ერთსულოვნად

აღდგა საუკუნეობით მამა-პაპათა სისხლით მორწყული ქართული მიწა-წყლის დასაცავად“ (საქართველოს ისტორია, 1961. გვ. 392).

1942 წელს თბილისში გამართული ამიერკავკასიის ახალგაზრდობის ანტიფაშისტური მიტინგიდან მიმართვის ნაწყვეტია მოცემული მესხიასა და გუჩუას ავტორობით 1968 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში. წარმოდგენილია აგრეთვე გაზეთ „პრავდას“ სტატიიდან ნაწყვეტი „საქართველოს მუშათა კლასის ფრონტისადმი დახმარების შესახებ“, რომელიც მკითხველს აწვდის ინფორმაციას იმ სამხედრო დახმარებაზე, რომელიც საქართველოს საწარმოებმა ამიერკავკასიის ფრონტს გაუწია და რომლის დამსახურებითაც „კავკასიონის კალთებზე მტერი განადგურდა“. ეს კი „საქართველოს მუშებს შეუძლიათ სიამაყით გაიხსენონ“ (მესხია, გუჩუა, 1968. გვ. 290).

პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიის სახელმძღვანელოები

პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამოცემულ ზოგიერთ სახელმძძღნელოში ავტორები ომის ხასიათზე ამახვილებენ ყურადღებას და აღნიშნავენ, რომ „საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებული საქართველოსათვის ომი არ შეიძლებოდა „სამამულო ყოფილიყო“ (ვაჩნაძე და გურული, 2005. გვ. 127). მოცემული სახელმძღვანელოში გამოკვეთილია როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე გერმანიის მხარეს მებრძოლი ქართველების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებიც. ხაზგასმულია ასევე ქართული დივიზიების შექმნა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს როგორც კონკრეტულად კავკასიის დაცვისას, ასევე ზოგადად მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას.

ომის ხასიათზე ამახვილებს ყურადღებას კიდევ ერთი, 2012 წელს გამოქვეყნებული მეთორმეტე კლასის ისტორიის სახელმძღვანელო, სადაც ავტორები აღნიშნავენ, რომ „მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა იდეოლოგიამ „სამამულო ომად“ გამოაცხადა. იგი სამამულო იყო არამარტო რუსების, არამედ საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყვე-

ლა ხალხისთვის, მათ შორის ქართველებისათვისაც“ (აბდალაძე, კუპატაძე, ახმეტელი, მურღულია, 2012. გვ. 237). აქვე მოცემულია ირაკლი თოიძის პლაკატი - „დედასამშობლო გიხმობს!“.

კიდევ ერთ, 2008 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, ავტორები ომის ხასიათთან დაკავშირებით მოსწავლეებს აცნობენ ისტორიკოსთა შეფასებებს, რომელთა ნაწილი „სამამულო ომის“ იდეას საბჭოთა იდეოლოგიას მიაწერს, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა კავშირში შემავალმა ხალხებმა რეალურად „სამამულო ომად“ გაითავისეს, ვინაიდან „გერმანიის დაპყრობითი გეგმები ერთნაირად მოიცავდა საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკას და მას ფაშისტურ უღელს უქადდა“ (იხ. მალაზონია, კვიტაიშვილი, მალაზონია, 2008. გვ. 314). ამავე სახელმძღვანელოში საქართელოს მოსახლეობის ომში მონაწილეობდასთან დაკავშირებით, ვხვდებით ფრაზას - „სამამულო ომში მონაწილეობდა 700 ათასამდე ქართველი მეომარი, რომელთა ნახევარიც დაიღუპა“ (მალაზონია, კვიტაიშვილი, მალაზონია, 2008. გვ. 315).

ქართული დივიზიების შექმნაზე ამახვილებენ ყურადღებას ავტორები 2012 წელს გამოცემულ ისტორიის მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოში, რომელთაც როგორც კავკასიის დაცვაში მიიღეს მონაწილეობა, ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიზანულ ომში (კიღურაძე, გაჩეჩილაძე და სანიკიძე, 2012. გვ. 182).

კავკასიის ბრძოლებში წარმატების მიღწევა გარდამტეხ მომენტად მიაჩნია ფარნაოზ ლომაშვილს 2002 წელს გამოცემულ XI კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში. საქართველოსა და მისი მოსახლეობის მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში მეტად დეტალურადაა წარმოდგენილი მოცემულ წიგნში. ავტორის თანახმად, კავკასიის ბრძოლები სტალინგრადთან ერთად „მობრუნების პუნქტად იქცა გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში“ (ლომაშვილი, 2002. გვ. 80). ამ ყველაფერს კი ქართველი სამხედროების სახელთან აკავშირებს, რომელთა თავგანწირვის შედეგადაც მოხერ-

ხდა გერმანელთა განდევნა კავკასიიდან და მისივე თქმით, სწორედ ამ ბრძოლებში დაიღუპა ყველაზე მეტი ქართველი.

დასკვნა

მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც თვალშისაცემია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სასკოლო სახელმძღვანელოებს შორის, არის კომუნისტური პარტიისა და გამოჩენილი საბჭოთა პარტიული მოღვაწეების როლის წარმოჩენა კავკასიის დაცვისას. რაც შეეხება ქართველ სამხედროებს, მათი წვლილი ხაზგასმულია როგორც საბჭოთა, ისე დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამოცემულ სახელმძღვანელოებში. მათ შორის, ლესელიძე, ნანეიშვილი, ჩანჩიბაძე და ა.შ. ზოგიერთი სახელმძღვანელო არამხოლოდ კავკასიის დაცვაში მონაწილე ქართველების, არამედ ზოგადად მეორე მსოფლიო ომში სხვადასხვა ფრონტზე მონაწილეთა მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებსა და სურათებს აწვდის მოსწავლეებს (მათ შორის გერმანელთა მხარეს მებრძოლებზე) (სურგულაძე, მ. კეკელია, ვ. ლაბაძე, რ. მურუსიძე, შ. და ქურთუბაძე, მ. 2021. გვ. 82-84). განსაკუთრებული განსხვავებაა ბრძოლის ხასიათთან დაკავშირებით - იყო თუ არა საქართველოსთვის მეორე მსოფლიო ომი „სამამულო“.

სხვადასხვა ფაქტორის და იმის გათვალისწინებითაც, რომ საქართველო რეალურად დამოუკიდებელი არ ყოფილა მეორე მსოფლიო ომის და შესაბამისად კავკასიის დაცვისას, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ გამოცემულ ზოგიერთ სახელმძღვანელოში საერთოდ არაა ნახსენები მისი როლი გერმანელთა დამარცხებაში. საქართველოს ბრძოლა მიბმულია საბჭოთა კავშირის ბრძოლასთან და არ გამოიყოფა არანაირი ნიშნით (მაგ, პროცენტულად ყველაზე დიდი დანაკარგი საბჭოთა რესპუბლიკებში...). ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოთა ანალიზის საფუძველზე, თუმცა გასაგებია სახელმძღვანელოთა სპეციფიკიდან გამომდინარე - არაა ორიენტირებული მხოლოდ საქართველოზე და რთულია, ერთი წიგნი მოიცავდეს უდიდეს ინფორმაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

აბდალაძე, გ. კუპატაძე, ბ. ახმეტელი, ნ. მურღულია, ნ. (2012). *ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა "დიოგენე".

ახმეტელი, ნ. ლორთქიფანიძე, ბ. ფირცხალავა, ნ. (2020). *ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „დიოგენე".

ბოლოთაშვილი, გ. კიღურაძე, ნ. მეძმარიაშვილი, ე. (2004). *უახლესი ისტორია 1918-1991.* თბილისი. გამომცემლობა „კონა".

ვაჩნაძე, მ. და გურული, ვ. (2005 წ.) *საქართველოს ისტორია IX.* თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი".

კიღურაძე, ნ. გაჩეჩილაძე, რ. სანიკიძე, გ. (2012). *ისტორია.* თბილისი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ლომაშვილი, ფ. (2002). *საქართველოს ისტორია 1801-2001.* თბილისი. ივერია. გამომცემლობა"ცისარტყელა".

მალაზონია, დ. კვიტაიშვილი, ნ. მალაზონია, თ. (2008). *საქართველოს ისტორია.* „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი".

მესხია, შ. გუჩუა, ვ. (1968). *საქართველოს ისტორია: VII-X კლასების სახელმძღვანელო.* თბილისი. „განათლება".

საქართველოს ისტორია. სახელმძღვანელო საშუალო სკოლის VIII-X კლასებისთვის (1961). ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი. გამომცემლობა „ცოდნა".

სურგულაძე, მ. კეკელია, ვ. ლაბაძე, რ. მურუსიძე, შ. და ქურთუბაძე, მ. (2021). *საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია.* თბილისი. ლოგოს პრესი

ჯანელიძე, ო. თაბუაშვილი, ა. თავაძე, ლ. ირემაშვილი, ნ. (2012). *საქართველოს ისტორია.* თბილისი. გამომცემლობა „კლიო".

Tamar Orjonikidze
Institute of Political Science of Ilia State University; Researcher

Defense of the Caucasus in 1942 in Soviet and post-Soviet school textbooks of Georgian and world history

Abstract

During the Second World War (1939-1945), the Soviet Union used Georgia's natural and human resources as much as possible. Those conscripted into the Red Army from Georgia fought against fascism, although their struggle was aimed at protecting democracy and freedom in the world, they themselves were deprived of both. In this battle, Georgia made the greatest sacrifice, and a large part of this sacrifice was caused by the mistakes made by the Soviet civil and military leadership, and the heartless attitude towards human life.

The purpose of the research is to study how Georgia's participation in the defense of the Caucasus in the Second World War is presented in Soviet and post-Soviet school textbooks of Georgian and world history. The research is based on the content analysis of 2 textbooks published in the Soviet period and 10 textbooks published in the post-Soviet period. During the research, the following are taken into account: a) the volume of the presented material; b) evaluative side and basic provisions; c) Submitted photo or documentary material.

When comparing the Soviet and post-Soviet manuals, we can highlight several factors that distinguish or unite the mentioned works: a/ Different data on the people who were drafted into the war (600 thousand, 700 thousand...) and those who died (200 thousand, 300 thousand...); b/ Assessment - was it or not "Patriotic" war for Georgia; c/ Evaluation - the importance of victory in the battle for the Caucasus ; d/ Contribution to the victory (party, government, party figures, military...

Keywords: Georgia; Soviet Union; second World War; The fight for the Caucasus.